სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/36

ქ. თბილისი 18 ივლისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 48-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №01-05-04/123 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 18 ივლისის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაშიცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის, აგრეთვე დეკანის ვერარჩევის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევასთან დაკავშირებით „უმაღლესი განათლების შესახებ“

საქართველოს კანონის 28-ე და 29-ე მუხლებში შეტანილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანას;

2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (დანართი 1);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**